Georgian Urological Association
საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

საქართველოს უროლოგთა ასოციაცია

GEORGIAN UROLOGICAL ASSOCIATION

თბილისი, 2020 წლის 15 აპრილი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოში უარესდება ეპიდსიტუაცუა COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც მოითხოვს სამედიცინო სამსახურის რეორგანიზაციას. იმისათვის, რომ ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა წარმატებით გაუმკლავდეს ამ მძიმე გამოწვევას, ვფიქრობთ, აუცილებელია დარგობრივი, პროფესიული ასოციაციების რეკომენდაციები მედიცინის სხვადასხვა დარგის ფუნქციონირების ოპტიმიზაციის მიზნით.

საქართველოს უროლოგთა ასოციაციამ (სუა) შეიმუშავა რიგი რეკომენდაციებისა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში უროლოგიური სამსახურის ოპტიმიზაციას COVID-19-ის ეპიდემიის პერიოდში. გიგზავნით აღნიშნულ დოკუმენტს, რომელშიც შედის:

1. უროლოგიური ჩარევების ჩამონათვალი, რომლებიც რეკომენდირებულია შესრულდეს SARS-CoV-2-ით ინფიცირებულ პაციენტებში
2. უროლოგიური ჩარევების ჩამონათვალი, რომლებიც რეკომენდირებულია შესრულდეს არაინფიცირებულ პაციენტებში ეპიდემიის დროს
3. ინფიცირებულ პაციენტებთან მუშაობის დროს, სამედიცინო პერსონალის მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესები
4. ურგენტული უროლოგიური დაავადებების მართვის ალგორითმები.

ყველა ის გეგმიური უროლოგიური ჩარევა რომელიც არ არის მითითებული დოკუმენტში, რეკომენდირებულია გადაიდოს ეპიდემიის დასრულების შემდეგ.

სუა-ის აღმასრულებელმა საბჭომ განიხილა და მხარი დაუჭირა აღნიშნული დოკუმენტის მიღებას და პრაქტიკაში დანერგას. იმედი გვაქვს, ეს რეკომენდაციები დაგეხმარებათ უროლოგიური სამსახურის რეორგანიზაციაში ქვეყნისათვის ამ მძიმე პერიოდში.

პატივისცემით,

არჩილ ჩხოტუა
სუა-ის გენერალური მდივანი

წინანდლის ქუჩა 9, 0144 თბილისი, საქართველო | Tsinandali str. 9, 0144 Tbilisi, Georgia

+995 322 27 35 31 info@gua.org.ge
+995 322 77 44 95 www.gua.org.ge